ნეო-შამანიზმი საქართველოში - სულთა სამყაროში მოგზაურობიდან ურბანულ სივრცეებამდე

ნინო ანდღულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის კველევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დოქტორი სოფიკო ზვიადაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ანდღულაძე

24.06.2020

აბსტრაქტი

ნეო-შამანიზმი არის იმ რწმენებისა და პრაქტიკების ერთობლიობა, რომელიც თანამედროვე ურბანული სივრცის მცხოვრებლებმა შამანიზმის უძველესი ფორმებისგან შეითვისეს. დღეს ის გარდაქმნილი ფორმით „ახალი სპირიტუალიზმის“ სახით გვხვდება. მოძრაობა, რომელიც ამერიკასა და ევროპაში 1960-იან წლებს უკავშირდება, დღეს პოპულარული ხდება ქართველ ახალგაზრდებში. ინტერესს ტრანსცენდენტული გამოცდილების მიღების გარდა იწვევს ამ პრაქტიკების კავშირი ჰალუცინოგენ მცენარეებთან. ნაშრომში შესწავლილია საქართველოში ნეო-შამანიზმის სხვადასხვა ფორმები, რომელთა გამოვლენაც ხდება მიმდევართა მიერ როგორც საჯარო, ისე პრივატულ სივრცეებში. ახალგაზრდებში ნეო-შამანიზმის პოპულარობა შესწავლილ იქნა შამანიზმისა და ალტერნატიული სპირიტუალიზმის კონცეპტების ჭრილში. კვლევის საფუძველზე პასუხი გაეცა კითხვებს: ნეო-შამანიზმის რა ფორმები გვხვდება თანამედროვე საქართველოში, როგორია შამანის როლი, რა გავლენას ახდენს შამანიზმის ფილოსოფიის გაზიარება ქართველი ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რამდენად მოგვცა ურბანულმა შამანიზმმა, როგორც სპირიტუალიზმის მიმართულებამ, მოდერნულ საზოგადოებასთან შერწყმის ხარჯზე გართობის ახალი ფორმა და არის თუ არა ის დაკავშირებული სულიერებასთან, შეცვლილ ცნობიერებასთან, ექსტაზურ რელიგიურ გამოცდილებასთან. კვლევამ აჩვენა, რომ ქართულ ურბანულ სივრცეებში არსებობს ნეო-შამანიზმის პრაქტიკების ჯგუფური და ინდივიდუალური გამოვლინებები. აბორიგენული შამანიზმისგან განსხვავებით შეცვლილია შამანის როლის აღქმა. პრაქტიკები მორგებულია თანამედროვე ადამიანის ინდივიდუალისტურ ხედვას. ახალგაზრდებისთვის ნეო-შამანიზმი არის როგორც გართობის, ისე სულიერი განვითარების გზა. იგი მათ ეხმარება ისეთ ფსიქოლოგიურ, თუ სოციალურ პრობლემებთან გამკლავებაშიც, როგორებისაა სტრესი, უმუშევრობა და ბულინგი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ნეო-შამანიზმი, შამანი, ალტერნატიული სპირიტუალიზმი, ფსიქოდელური ნივთიერებები, შამანური მოგზაურობა, ახალგაზრდები

Abstract

Neo-shamanism is a collection of beliefs and methods, which have been adopted from the ancient forms of shamanism and transformed by the modern urban dwellers. Nowadays, it is presented as a ,,New Age'' spirituality. With globalization, the movement which was associated with the 1960-s in Europe and America is becoming popular among Georgian young generation. Apart from having transcendental experience, this increasing interest could be related to the use of hallucinogen plants within the shamanic practices. The present research paper studies the different forms of Neo-shamanism in Georgia, which can be observed in a public as well as in private spaces. The popularity of Neo-shamanism among young generation has been studied under the concepts of alternative spirituality and shamanism. The research addressed the following questions: What forms of neo-shamanism is presented in modern Georgia? What is the role of shaman? How does the philosophy of Neo-Shamanism impact young people's lives? To what extend has urban shamanism as a direction of spirituality gave us a new form of entertainment at the expense of merging with modern society and how is it related to spirituality, altered states of consciousness, and ecstatic religious experience? The present research has revealed that Neo-Shamanism is practiced in groups as well as individually within Georgian urban spaces. In contrast with aboriginal shamanism, the perception of the shamanic figure has been changed. Techniques are transformed and tailored to the individualistic view of a modern human being. For the young generation, Neo-Shamanism is a way of entertainment, as well as a path to spiritual development. Neo-shamanic practices help them to overcome psychological and social problems, such as: stress, youth unemployment and bullying.

Key words: Neo-Shamanism, Shaman, Alternative Spiritualism, Psychedelics, Shamanic journey, Young people